ადრესატი:

ილია გელაშვილი
იურიდიული საქალაქო სამსახური-საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

წერილის ნომერი:**17-0126300859**
თარიღი: **27/10/2026**

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში შემოსული N19/0126280272-01 07.10.26წ. განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2026 წლის 13 მაისის Nშ-150/26 დადგენილებით, (მშენებლობის შეჩერების შესახებ) შეჩერდა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, N01.14.05.009.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, უსაფრთხოების წესების დარღვევით მიმდინარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. დადგენილება ძალაშია მშენებლობის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრამდე. კერძოდ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, N01.14.05.009.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე მშენებარე ობიექტზე (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) მშენებლობის უსაფრთხოების წესების უზრუნველყოფამდე (ფერდზე საჭიროა შესაბამისად დამუშავებული კონსტრუქციული პროექტისა და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე განხორციელდეს გამაგრებითი სამუშაოები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ფერდის მდგრადობა და მომიჯნავე საკადასტრო კოდებზე არსებული შენობა-ნაგებობებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება. ასევე გამაგრებითი სამუშაოების დასრულების შემდგომ, სავალდებულოა შესაბამისი საექსპერტრო დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნება განხორციელებული სამუშოების შესაბამისობა ფერდის გამაგრების პროექტთან და მომიჯნავე საკადასტრო კოდებზე არსებული შენობა-ნაგებობებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება).

აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურის მიერ 2026 წლის 25 მაისს გაიცა N4-5/ს.ფ-578-26 სააღსრულებო ფურცელი.

სამსახურის 2026 წლის 13 მაისის N003980 დადგენილებით, შპს „იდეა პანორამა 2“ დაჯარიმდა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, N01.14.05.009.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისას, მშენებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის და ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, N01.14.05.009.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დაევალა, ამავე მისამართზე, მდებარე მშენებარე ობიექტზე მშენებლობის უსაფრთხოების წესების უზრუნველყოფა, კერძოდ (ფერდზე საჭიროა შესაბამისად დამუშავებული კონსტრუქციული პროექტის და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე განხორციელდეს გამაგრებითი სამუშაოები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება ფერდის მდგრადობა და მომიჯნავე საკადასტრო კოდზე არსებული შენობა-ნაგებობისა და საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება. ასევე გამაგრებითი სამუშაოების დასრულების შემდგომ სავალდებულოა შესაბამისი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნება განხორციელებული სამუშაოების შესაბამისობა ფერდის გამაგრების პროექტთან და მომიჯნავე საკადასტრო კოდზე არსებული შენობა-ნაგებობებისა და საგზაო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება).

აღნიშნული დადგენილება მხარის მიერ გასაჩივრდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერის) 2026 წლის 23 ივნისის N1074 ბრძანებით არ დაკმაყოფილდა მხარის ადმინისტრაციული საჩივარი.

2026 წლის 13 მაისის N003980 დადგენილება და მერის 2026 წლის 23 ივნისის N1074 ბრძანება დღისმდგომარეობით მხარის მიერ გასაჩივრებულია ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში და მიმდინარეობს საქმის წარმოება.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 06.03.2026წ. N7832707 ბრძანებით, ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, N01.14.05.009.142 საკადასტრო კოდზე, შეთანხმებულ იქნა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (IV კლასი) არქიტექტურული პროექტი, გაცემულ იქნა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა (მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2026 წლის 6 მარტიდან 2029 წლის 6 მარტის ჩათვლით). აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 119-ე მუხლის შესაბამისად, III და IV კლასების შენობა-ნაგებობების მშენებლობის ნებარღვის მფლობელი ვალდებულია სამშენებლო ობიექტის ინსპექტირების

განხორციელება დაუკვეთოს აკრედიტირებულ ინსპექტირების ორგანოს ან/და სერტიფიცირებულ ექსპერტს შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანო/ სერტიფიცირებული ექსპლერტი ვალდებულია ამის შესახებ შეატყობინოს მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანოს.2026 წლის 24 აპრილს მოცემულ საკითხთან დაკავშირებითმხარესთაან გაიგზავნა გაფრთხილების წერილი. ვინაიდან მხარის მიერ გაფრთხილების წერილით განსაზღვრულ ვადაში, არ იქნა წარმოდგენილი აკრედიტირებულ ინსპექტირების ორგანოსთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ობიექტზე სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობაზე ხორციელდება ტექნიკური ზედამხედველობა, სამსახურის 2026 წლის 30 ივნისის №შ-230/26 დადგენილებით, შეჩერდა ქ. თბილისში, ვაკის რაიონი, N01.14.05.009.142 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (IV კლასი) მშენებლობა. ვინაიდან მხარის მიერ 2026 წლის 23 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულება სამსახურის 2026 წლის 23 ოქტომბერის №შ-230/26-2 დადგენილებით, ძალადაკარგულად გამოცხადდა შპს „იდეა პანორამა 2“-ს მიმართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2026 წლის 30 ივნისის №შ-230/26 დადგენილება.

მუნიციპალური ინსპექცია-სამართლებრივი წარმოებისა და საორგანიზაციო უზრუნველყოფის განყოფილება-მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი